



სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის
სამინისტროს 2017 წლის 31 დეკემბრით
დასრულებული საანგარიშგებო პერიოდის
კონსოლიდირებული ანგარიშგების ფინანსური
აუდიტის ანგარიშის შედეგების შესახებ

ტერმინთა განმარტება

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო - **სპორტის სამინისტრო**;

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი - **მინისტრი**;

საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N 429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია - **აღრიცხვის ინსტრუქცია**

სსიპ -საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი - **ოლიმპიური რეზერვების ცენტრი**

1. პირობითი მოსაზრების საფუძვლები

1.1 კონსოლიდაცია

გამოვლენილი გარემოება

ა(ა)იპ „ზევსი“ წარმოადგენს სამინისტროს კონტროლირებულ ერთეულს, ვინაიდან ის დაფუძნებულია ოლიმპიური რეზერვების ცენტრის მიერ 2015 წლის 17 მარტს. ა(ა)იპ „ზევსი“ 2015, 2016 და 2017 საანგარიშგებო წლების ფინანსური ანგარიშგება არ მოუზადებია. შესაბამისად, ა(ა)იპ-ის ფინანსური მდგომარეობის და ფინანსური შედეგების მონაცემები არ არის ასახული ოლიმპიური რეზერვების ცენტრის ინდივიდუალურ და სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. აღნიშნულიდან გამომდინარე სამინისტროს კონსოლიდირებული საბალანსო ანგარიშების საწყისი და საბოლოო ნაშთი შემცირებულადაა წარმოდგენილი აქტივები 39,831 და 104,070 ლარით, ვალდებულებები 28,585 და 34,618 ლარით, ხოლო კაპიტალი 11,246 და 69,452 ლარით. შედეგად ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები არ არიან უზრუნველყოფილი სრული ინფორმაციით სამინისტროს სისტემის აქტივების, ვალდებულებებისა და კაპიტალის შესახებ.

რეკომენდაცია N1.

სსიპ -საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნულ ცენტრს

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაციის სისრულის მიზნით, განხორციელდეს ა(ა)იპ „ზევსის“ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადება და მისი კონსოლიდაცია სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში.

1.2 მოკლევადიანი აქტივები

გამოვლენილი გარემოება

- 1) ბალანსის საცნობარო მუხლში „პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები“ ნაშთად ირიცხება „სპორტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და სპორტული ინვენტარის განახლების პროგრამის“ ფარგლებში სხვა ორგანიზაციებზე უსასყიდლოდ გადაცემის მიზნით

შესყიდული 103,788 ლარის მატერიალური ფასეულობა, საიდანაც 47,688 ლარის ღირებულების სპორტული ინვენტარი შეძენილია 2017 წლამდე პერიოდში. აღნიშნული მატერიალური ფასეულობები უნდა ასახულიყო „შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონელის“ საბალანსო ანგარიშზე.

რეკომენდაცია N2

სამინისტროს

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, სხვა ორგანიზაციებზე უსასყიდლოდ გადასაცემად შესყიდული სპორტული ინვენტარის ღირებულების აღრიცხვა განხორციელდეს ბალანსის „შემდგომი რეალიზაციისათვის შეძენილი საქონელის“ ანგარიშზე. მარაგის ოპტიმიზაციის მიზნით, სპორტული ინვენტარის შესყიდვა და გადაცემა განხორციელდეს წინასწარ განსაზღვრული სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

1.3 გრძელვადიანი აქტივები

გამოვლენილი გარემოებები

- 1) 2013-2017 წლებში სამინისტრომ განახორციელა მისი მართვის ქვეშე მყოფი შპს „სპორტმშენსერვისის“ საწესდებო კაპიტალში ქონებრივი შენატანი მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების სახით ღირებულებით 9,966,315 ლარი. აღნიშნული ფინანსურ აქტივებით ოპერაცია არ არის ასახული სააღრიცხვო რეგისტრებში.
- 2) სამინისტროს აპარატის ბალანსის საცნობარო მუხლში „პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები“ 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთად ირიცხება 541,372 ლარის ღირებულების უძრავი ქონება. 2010 წლის პირველ ივლისამდე აღნიშნული ქონება ირიცხებოდა ყოფილი „საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს“ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება „საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის“ ბალანსზე, რომლის სამართალმემკვიდრეს წარმოადგენდა ამავე დასახელების სამინისტრო და მის მიერ ქონების აღრიცხვა ძირითადი აქტივების შემადგენლობაში არ განხორციელებულა.

რეკომენდაცია N3

სამინისტროს

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის, სახელმწიფო ქონების მართვისა და კონტროლის გაუმჯობესების მიზნით აუცილებელია სამინისტრომ უზრუნველყოს მისი მართვის ქვეშ მყოფი სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი შპს „სპორტმშენსერვისის“ კაპიტალში განხორციელებული ყველა ოპერაციის ბუღალტრული აღრიცხვა. საწარმოთა კაპიტალის გასაზრდელად გამოწვეული ქონება სამინისტროს ბალანსზე აღირიცხოს, როგორც საინვესტიციო ქონება, ხოლო საწარმოთა კაპიტალში შეტანის შემდგომ, აისახოს აქციებისა და სხვა კაპიტალის ზრდის სახით.

რეკომენდაცია N4

სამინისტროს

განხორციელდეს ბალანსის საცნობარო მუხლში ნაშთად აღრიცხული სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განლაგებული სპორტული მოედნებისა და თბილისის ზღვის მიმდებარედ არსებული ტურისტული სახლის ინვენტარიზაცია, შეფასდეს მათ მიერ აქტივად აღიარების კრიტერიუმების დაკმაყოფილების ხარისხი და არსებული კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული იქნას გადაწყვეტილება მათი შემდგომი განკარგვის თაობაზე.

1.4 საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებების მოპოვების შეუძლებლობა

გამოვლენილი გარემოებები

- 1) საჯარო რეესტრის ამონაწერების მიხედვით ა(ა)იპ „ზევს“ 2016 წელს 49 წლის ვადით, უსასყიდლო უზუფრუქტის სახით გადაეცა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული მიწის სამი ნაკვეთი, მასზედ დამაგრებული შენობა-ნაგებობებით. აღნიშნული მიწის ნაკვეთები და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები არ არის შეფასებული და აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში.
- 2) არ არის შეფასებული და ბალანსზე „არაწარმოებული“ აქტივების მუხლით აღრიცხული, სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალ ოლიმპიური რეზერვების ცენტრსა და

სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტზე ქონების ეროვნულ სააგენტოს მიერ სარგებლობის უფლებით გადაცემული არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები.

რეკომენდაცია N 5

ა(ა)იპი „ზევსს“

სსიპ -ოლიმპიური რეზერვების ცენტრს

სსიპ -საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტს

ფინანსურ ანგარიშგებაში აქტივების მუხლის სრულად წარმოდგენა განხორციელდეს უსასყიდლო უზუფრუქტისა და სარგებლობის უფლებით გადმოცემული მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების თვითღირებულების დადგენა პირველადი დოკუმენტაციის მოძიება-აღდგენის გზით, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, განხორციელდეს მათი რეალური ღირებულების სააღრიცხვო შეფასება და შედეგები აისახოს მომავალი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში.

1.5 საცნობარო მუხლი

გამოვლენილი გარემოება

ინსტრუქციის 110-ე მუხლის მოთხოვნის შეუსაბამოდ, 2017 წელს ამორტიზებული 97,699 ლარის ისტორიული ღირებულების ძირითადი აქტივები არ არის ასახული ბალანსის საცნობარო მუხლში - „ამორტიზებული ძირითადი აქტივები“.

რეკომენდაცია N 6

სამინისტროს

ფინანსური ანგარიშგების საიმედოობის, ასევე არსებობაზე და დაცულობაზე კონტროლის მიზნით, სრულად გაცვეთილი (ამორტიზებული) და შემდგომი ხმარებისათვის გამოუყენებელი ძირითადი აქტივები, ისტორიული ღირებულებით აისახოს ბალანსის საცნობარო მუხლში (08) „ამორტიზირებული ძირითადი აქტივების“ ანგარიშზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ჩამოწერამდე.

1.6 ოპერაციის არასწორ საანგარიშგებო პერიოდზე მიკუთვნება

გამოვლენილი გარემოებები

-) სპორტული ფედერაციების მიერ საანგარიშგებო წელს 8,470,464 ლარის ღირებულების განხორციელებულ ღონისძიებებზე ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილ იქნა 2018 წლის პირველ კვარტალში, ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე პერიოდში. ღონისძიებების ჩატარების დამადასტურებელ პირველად დოკუმენტებში მითითებული ეკონომიკური მოვლენის მოხდენის თარიღიდან გამომდინარე აღნიშნული თანხების 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე მიკუთვნება არ განხორციელებულა. აღრიცხვის ინსტრუქციის თანახმად, ოპერაციები და სხვა მოვლენები ბუღალტრულ ჩანაწერებში აღირიცხება პირველად დოკუმენტებში მითითებული ეკონომიკური მოვლენის მოხდენის თარიღით და მიეკუთვნება იმ პერიოდის ანგარიშგებას როდესაც მას ჰქონდა ადგილი.

რეკომენდაცია N 7

სამინისტროს

შემუშავდეს და დაინერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები(პასუხისმგებელი პირების მითითებით), რომლებიც უზრუნველყოფს სპორტული ფედერაციებიდან ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების დროულად წარმოდგენას, სააღრიცხვო რეგისტრებში ასახვას, ეკონომიკური მოვლენის თარიღით და შესაბამის საანგარიშგებო პერიოდზე მიკუთვნებას.

1.7 განმარტებითი შენიშვნები

გამოვლენილი გარემოება

-) შპს „სპორტმენსერვისი“ წარმოადგენს სამინისტროს კონტროლირებულ ერთეულს, რომელიც კონსოლიდირებული არ არის და მისი კრებსითი ფინანსური ინფორმაცია აქტივების,

ვალდებულებების, ნამეტისა და დეფიციტის ჯამური თანხების ჩათვლით უნდა გამჟღავნებულიყო კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, რაც არ განხორციელებულა. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები არ არიან უზრუნველყოფილი იმ მნიშვნელოვანი ინფორმაციით, რომელიც წარმოდგენილია „სპორტმშენსერვისის“ ფინანსურ ანგარიშგებაში და რომლის მიხედვით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს ბალანსზე ირიცხება 100,448,747 ლარის აქტივები, 93.595,264 ლარის კაპიტალი და 6,853,483 ლარის ვალდებულებები.

რეკომენდაცია N 8

სამინისტროს

ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების სათანადო ინფორმირების მიზნით, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა აისახოს ინფორმაცია შპს „სპორტმშენსერვისის“ აქტივების, საწესდებო კაპიტალისა და ვალდებულებების შესახებ.

2 . სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

2.1 გამოუყენებელი აქტივები

გამოვლენილი გარემოება

- საბრძოლო ხელოვნებათა შემდგომი განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით ოლიმპიური რეზერვების ცენტრს სარგებლობის უფლებით გადაეცა ქ. თბილისში ძმები გარიშვილების ქუჩა N8-ის მიმდებარედ არსებული 29,570 ლარის ღირებულების 984 კვ/მ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი და ამ ნაკვეთზე განთავსებული 55,000 ლარის ღირებულების შენობა-ნაგებობა. გადმოცემიდან დღემდე აღნიშნული აქტივების დანიშნულებისამებრ გამოყენება არ განხორციელებულა. შენობა-ნაგებობას ყოველწლიურად ერიცხება ცვეთა , მისგან ეკონომიკური სარგებლის და მომსახურების პოტენციალის მიღება კი არ ხდება.

რეკომენდაცია N 9

სსიპ -ოლიმპიური რეზერვების ცენტრს

შეფასდეს მოცემული ქონების მიხედვით აქტივად აღიარების კრიტერიუმების(მომავალში ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მიღება) დაკმაყოფილების ხარისხი და არსებული კანონმდებლობის შესაბამისად მიღებულ იქნას გადაწყვეტილება მათი შემდგომი განკარგვის თაობაზე.

2.2 ფედერაციების დაფინანსება

გამოვლენილი გარემოება

- სამინისტროს ბალანსზე 2017 წლის 31 დეკემბრის მდომარეობით სპორტის სხვადასხვა სახეობაში დარეგისტრირებულ ფედერაციებზე რიცხულმა დებიტორულმა დავალიანებამ შეადგინა 10,514,383 ლარი. აქედან 9,507,245 ლარის დავალიანება წარმოიშვა 2017 წლის ღონისძიებების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტების სამინისტროში წარმოდგენილობის შედეგად. მიღებული თანხების ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის დადგენილ ვადებში წარმოდგენისა და შესაბამისად დებიტორული დავალიანებების დაფარვის მიზნით ქმედითი ღონისძიებები გატარებული არ არის.

რეკომენდაცია N 10

სამინისტროს

დებიტორული დავალიანებების რეალობის დადგენის მიზნით და მათი ოპტიმალური მართვის ინტერესებიდან გამომდინარე, კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით განხორციელდეს მოცემული დავალიანებების ინვენტარიზაცია (შედარების აქტების გაფორმება). ამასთანავე პრობლემური დავალიანებების მიხედვით გატარებული იქნას „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2011 წლის 19 დეკემბრის N 180 ბრძანების მე-4 მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებები.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE